ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' თავმჯდომარის მოხსენება

ფრაქცია ,, ერთიანი ნასიონალური მოძრაობის" მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'' დაფუძნდა 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შემდეგ 2014 წლის 14 ივლისს .

ფრაქციას აქვს წესდება და პლათფორმა, ფრაქცია შედგება სამი წევრისაგან, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული საკრებულოს სხვადასხვა კომისიის მუშაობაში.

საანგარიშო პერიოდში ჩვენ ვცდილობდით რათა გვეჩვენებინა ჩვენი ამომრჩევლისთვის და შემდეგ თქვენთვის თუ, როგორი უნდა იყოს კონსტრუქციული სახელმწიფოებრივად მოაზროვნე უკომპრომისო ოპოზიცია. ჩვენ ხშირად არ ვუჭერდით მხარს ისეთ საკითხებს, სადაც თქვენი ჩინოვნიკებისა და მოსახლეობის ინტერესები იკვეთებოდა, ჩვენ ვიყავით ის ფრაქცია რომლებმაც მხარი არ დაუჭირა ჩინოვნიკთა ხელფასების ზრდას პირველივე საკრებულოს სხდომაზე, ასევე მხარი არ დავუჭირეთ პატარა ხარაგაულის მოსახლეობის უწყლოდ დატოვებას, როდესაც თქვენ ერთხმად დაეთანხმეთ წყლის სისტემის რეაბილიტაციის მუხლიდან თანხა გადაეტანათ და 10 000 ლარად ეყიდათ ავტომანქანა იმერეთის რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის. ჩვენ გავაპროტესტეთ შტატების ზრდა ორგანიზაციებში, რადგან თქვენ ეთანხმებოდით ორგანიზაციებში თქვენი ოჯახის წევრების დანიშვნას.

ჩვენ არაერთხელ მიგითითეთ დაკეტილ საბავშვო ბაღებზე, რომელთა გახსნაც დღემდე ვერ მოახერხეთ, თუმცა რაც გახსენით დარღვევებით და თითქმის ორჯერ დაგჭირდათ დაკეტილი საბავშვო ბაღების გარემონტება.

დღემდე არაერთი დაპირებისა, ჩვენი პროტესტისა ვერ შეძელით დაბა ხარაგაულის პირველი საბავშვო ბაღის გაზიფიცირება. ახლა როცა ახალი სასწავლო წელი კარზეა მომდგარი საბავშვო ბაღებისათვის ითხოვთ თანხას, თან სამუშაოების შესრულებას აპირებთ გადაუდებელი აუცილებლობით, მაშინ როცა საბავშვო ბაღების გაერთიანების ადმინისტრაციას აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო თანხის მოთხოვნა ერთი წლის წინ აქვს წარმოდგენილი აღმასრულებელ ორგანოში.

აქტიურად ვიყავით ჩართული 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვაში, წარმოვადგინეთ შენიშვნებიც მაგრამ თქვენს მიერ არცერთი მათგანი არ იქნა გაგითვალისწინებული. თქვენ შეადგინეთ ბიუჯეტი საკუთარი ხელფასებისთვის.

უყურადღებოდ არ დაგვიტოვებია არც სოფლის პროექტები და არც თქვენს ნათესავებთან, ა.ა.(ი).პ-ში დასაქმებულ ინდ.მეწარმეებთან დადებული ხელშეკრულებები. სასოფლო გზებზე სოფლის მხარდამჭერი პროგრამით გათვალისწინებული ,,ხრეშის''ნაცვლად დაყრილი ტალახი, რომლის შეტანაც სოფლებში დღემდე გრძელდება. თქვენი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ შემცირდა ელექტრონული ტენდერების გამოცხადება და მომსახურეობის შესყიდვა ამა თუ იმ პრობლემის მოსაგვარებლად ხდება გამარტივებული შესყიდვებით, ხელშეკრულებები იდება ვითომდა გადაუდებელი აუცილებლობით, თუმცა გადაუდებელი აუცილებლობის დამადასტურებელი დოკუმენტის მოთხოვნის შემთხვევაში საბუთის მოპოვება გაძნელებულია მარტივი მიზეზის გამო რადგან ეს საბუთი არ არსებობს. გადაუდებელი აუცილებლობით გადაიხურა ვითომდა სტიქიის შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი სახლი მოლითში, საბუთების მოთხოვნის შემდეგ დადგინდა, რომ სტიქიური მოვლენის დამადასტურებელი დოკუმენტი ყოფილა ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლის განცხადება, ასევე გადაუდებელი აუცილებლობით და დაუზუსტებელი ხარჯთაღრიცხვით გაკეთდა იუსტიციის მინისტრის ჩამოსვლასთან დაკავშირებით სოფელ ღორეშაში გზა, რომელიც მუნიციპალიტეტის შ.პ.ს. ,,ხარაგაული-2011“-მა შეასრულა. ამ ფორმით

შეასრულეთ ხარაგაულის სასულიერო გიმნაზიის ღობის სამშენებლო სამუშაოებიც.

ხშირად საკრებულო თანხმობას აძლევს უკვე შესრულებულ სამუშაოს. მაგალითად კეთილმოწყობის სამსახურის დირექტორი არ ელოდება საკრებულოს თავმჯდომარის (მეუღლის) და საკრებულოს წევრების გადაწყვეტილებას და სამუშაოს შესასრულებლად აფორმებს პირდაპირ ხელშეკრულებას გადაუდებელი აუცილებლობით, თუმცა ეს დოკუმენტი ამ სამსახურს არ გააჩნია. საკრებულო კი შემდეგ მსჯელობს უკვე დადებულ ხელშეკრულებაზე.

ჩვენი ფრაქცია არაერთი ბრალდების ადრესატი ყოფილა, მაგალითად მაშინ როცა ჩვენი ფრაქციის წევრს სამარშუტო ტაქსის მძღოლებთან გარიგება დააბრალეთ და ამისთვის შექმენით ვითომ კომისია, რომლის დასკვნაც გაუგებარი და აბსურდული იყო. დასკვნაში მოტანილი შენიშვნები დღემდე არ გამოსწორებულა. ასევე პოლიტიკაში ჩართეთ ბავშვები და ჩვენი თანაპარტიელის შვილი ამოიღეთ ახალგაზრდა საკრებულოს სიიდან, თუმცა ამის უფლება არ გქონდათ.

ფრაქციამ შეხვედრები გამართა მუნიციპალიტეტის სოფლებში, სადაც მოქალაქეები პრეტენზიას გამოთქვამენ სხვადასხვა პრობლემებზე : უგზოობაზე, უმუშევრობაზე, სოციალური დახმარების მოხსნაზე, საშეშე და სამასალე მერქნის მიუწდომლობაზე, არადა თქვენ ხელისუფლებაში მოსვლამდე ყველაფერს პირდებოდით. ასევე ბიუროს სხდომაზე დავსვით საკითხი დიდვაკის მოსახლეობის საცხოვრებელი ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე, მაგრამ თქვენ ბრძანეთ, რომ დიდვაკეში ააშენებდით დომინოს ქარხანას და გამოუშვებდით ,,პუსტა პუსტებს“ და იქ დაასაქმებდით დიდვაკის მოსახლეობას. ასეთი მიდგომა ადამიანების ბედზე მე ვფიქრობ მიუღებელია მითუმეტეს მაშინ როცა უამრავი დაპირება გაქვთ გაცემული.

ჩვენ არაერთხელ მოგვიხდენია რეაგირება საპროექტო სამუშაოების არასათანადოდ შედგენაზე. მაგალითისათვის დავასახელებ ბორითი-მარიამწყაროს გზის პროექტირებას, რომელიც დღემდე შეუსრულებელია,

ასევე ცუდად დაპროექტდა მაქათუბნის სამანქანო ხიდი, სადაც ვერ განისაზღვრა ხიდის რეალური სიგრძე, არაფერს ვიტყვი ხემაღალში გაკეთებულ აუზზე რომელიც უწყლოდაა დარჩენილი, რადგან იმ ტერიტორიაზე წყალი საერთოდ მიუწვდომელია. ასეთი პროექტები უამრავია ზოგი გამიზნულად, ზოგიც კაბინეტებში შედგენილი.

რაც შეეხება კინოთეატრის შენობას ჩვენი ხელისუფლების პერიოდში ორი წელი დაგვჭირდა მუნიციპალიტეტის ბალანსზე რომ გადმოსულიყო აღნიშნული შენობა, რადგან ქართული ფილმი გაყიდვას უპირებდა. გაყიდვის პროცესში აქტიურად იყო ჩართული ,,ყველაფრის მართლის მთქმელი'' ქალბატონი ქეთი დოლიძე, მუნიციპალიტეტის ბალანსზე გადმოსვლის შემდეგ ჩვენმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა კინოთეატრის რეაბილიტაცია. შედგა პროექტი, გამოცხადდა ტენდერი, ტენდერის გამოცხადების შემდეგ დაიწყო მისი რეაბილიტაცია, დღეს კი თქვენი გამგებელი ამაყად იბრალებს ყველაფერს, თუმცა ისიც ვერ მოახერხა, რომ მშენებლებისათვის ზედამხედველობა გაეწია და წყალი არ ჩამოსულიყო ახლად გახსნილ კინოთეატრში. ასევე წყალი ჩამოდის პომპეზურად გახსნილ საექიმო ამბულატორიაში სამგლიის სერზე, რაც შეეხება ამბულატორიის მოწყობას სამგლიის სერზე თქვენი შიდა დაპირისპირების მიზეზია და ამ დაპირისპირებას ეწირება მოსახლეობა. თქვენს მიერ შესრულებული პროექტები კითხვის ნიშნებს ბადებს როგორც მშენებლობის ასევე ხარჯვით ნაწილში.

რაც შეეხება შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის საქმიანობას ჩვენ ვამბობდით, რომ პოლიტიკურად უდგება თავის მუშაობას, რიგი დარღვევები რომლებიც აღმოჩნდა სხვადასხვა ორგანიზაციებში საერთოდ არ იყო მოხსენებული მათ ანგარიშში თუმცა თქვენ ეს ანგარიშიც მოიწონეთ. ვერაფერს ვიტყვი მოწვეული დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნაზე, სადაც ერთი შენიშვნაც კი არაა აღნიშნული, ვფიქრობ რომ ეს თანხა წყალში გადაყრილია, ჩვენ ორივე აუდიტის დასკვნაზე გვქონდა შენიშვნები მაგრამ ეს შენიშვნები არ გაითვალისწინეთ, თუმცა მოწვეული აუდიტის თემას ჩვენ კიდევ უახლოეს მომავალში ისევ დავუბრუნდებით.

ჩვენ არაერთხელ გამოგვითქვამს პროტესტი გაცემულ მივლინებებსა და პრემიებზე. ა.ა.ი.პ-ის ბიუჯეტიდან სუფრისთვის გადარიცხულ თანხებზე, თვითმმართველი ერთეულის ბალანსზე არსებული ტრანსპორტის მომსახურეობისა და შეკეთების ხარჯებზე, მაგრამ თქვენ არ შეგიძლიათ ამ შენიშვნების გათვალისწინება, რადგან ჯერ კიდევ საკითხების შესწავლის, გარკვევის, შემუშავების, არგაგების პროცესში ხართ.

სამწუხაროა, რომ ასეთი სუსტი საკრებულო არცერთი ხელისუფლების დროს არ ყოლია ხარაგაულს, სადაც კოლეგები ერთმანეთის აზრს არ ითვალისწინებენ. შეუძლიათ ერთმანეთს მიაყენონ შეურაცყოფა, კომისიის სხდომები ხშირად დარღვევებით ტარდება, კერძოდ ზოგჯერ დეპუტატების გარეშეც, აქ ყველა ერთი ადამიანის ინტერესის გამტარებელია და ეს ერთი ადამიანი არც იმდენად ვაჟკაცია ვინმეს ხელი დაგაფაროთ და ხრამში არ გადაგჩეხოთ. თქვენი მოსვლიდან ხარაგაულის მოსახლეობას რაც დაემატა თქვენი ფუჭი დაპირებებია. ჩვენ ვიქნებით ის ფრაქცია ვინც წლის ბოლოს შეგახსენებთ, რომ მეტი სარგებელი ჭირდება არა თქვენ ჩინოვნიკებს, არამედ მეტი სარგებელი ჭირდება ხალხს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე

თორნიკე ავალიშვილი